



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
**GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE  
 BODY**



**მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის**

**ოქმი N1**

ქ. მარნეული

10.01.2016 წელი

**სხდომას ესწრებოდნენ:**

**საკრებულოს წევრები:** - ნაზი აბდულაევი, ვალერი მეტრეველი, ამირან გიორგაძე, ვანო ბურნაძე, კოტე ბოჭორძე, რაფიკ მუსაევი, აზიდ ოსმანოვი, ვალი ისმაილოვი, ლევონ აკოპიანი, ჯომშენ ზეინალოვი, ბესიკ გუჯეჯიანი, აიდა ხაჩიკიანი, მაილ მიქიევი, მამედ მამედოვი, სადრადინ ტალიბოვი, აგილ ფაშაევი, რაგიმ ასკეროვი, რაფიკ ჯაფაროვი, რიჩარდ გიგანი, რამიზ გიულმამედოვი, გივი ქველაძე, არსენ ახვერდიანი, მახირ იუსუბოვი, ელხან მუფტიევი.

**არ ესწრებოდა:**

- ნიკოლოზ გოგოჭური, ირაკლი ბურნაძე, გიორგი შუკაკიძე, ლერი მუმლაძე, ქამილ ალიევი, ზურაბ ჭონიაშვილი, ისმაილ ბაირამოვი, რუსტამ ფაშაევი, სულეიმან ხალილოვი,

**სხდომას ესწრებოდა:**

- მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე ზაურ ტაბატაძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვუგარ მამედოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციის სამსახურის უფროსი ნინო დეკანოძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი ტარიელ მუსაევი, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი - ნინო ბერიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საორგანიზაციო განყოფილების უფროსი რუსუდან გადელია.

**პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები:** „TV-მარნეული“-ს წარმომადგენლები.

**განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:**

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.
2. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 6 იანვრის N03/98 წერილის განხილვის შესახებ.
3. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის ს.ს.ი.პ. მუნიციპალური განვითარების ფონდისაგან სესხის მიღებაზე წინასწარი თანხმობის მიცემის შესახებ.
4. „მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

5. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის 2016 წლის 12 სექტემბრის N2822-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.

6. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის 2016 წლის 1 ნოემბრის N3486-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.

7. მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ.

8. „მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ოქტომბრის N31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

9. „მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების თაობაზე“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

### **განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:**

დღის წესრიგის განხილვამდე მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, ფრაქცია „ქართული ოცნება“-ს თავმჯდომარემ ამირან გიორგაძემ გააკეთა ინფორმაცია იმის შესახებ რომ სასურველი და აუცილებელიცაა გამგეობის პიარის სამსახურმა გააშუქოს საკრებულოს სხდომები და ასევე პასუხი გასცეს სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებისა თუ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გავრცელებულ არასწორ ინფორმაციებს, მათ შორის ბიუჯეტის ატვირთვა-განხილვასთან დაკავშირებით. ასევე მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „მაჟორიტარები“-ს თავმჯდომარემ რიჩარდ გიგანმა გააკეთა განცხადება იმის შესახებ, რომ რატომ ხდება მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრების იგნორირება შესაბამის ტერიტორიულ ერთეულებში მაშინ, როდესაც აღმასრულებელ ორგანოს შესაბამის ტერიტორიულ ერთეულში ჩაყავს დელეგაცია და ამის შესახებ ინფორმირებული არ არის მაჟორიტარი დეპუტატი.

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსთან ერთად დასამტკიცებლად წარმოადგინა დადგენილების პროექტი მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესახებ.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N1. 10.01.2017 წ).

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-4 ნაწილის, მე-20 მუხლის, 24-ე მე-2 ნაწილის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 106<sup>1</sup> მუხლის საფუძველზე, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2016 წლის 6 იანვრის N03/98 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, სთხოვა თანხმობა, რათა განხორციელდეს მარნეულის მუნიციპალიტეტი მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „მარნეულის მუნიციპალიტეტის სპორტული სკოლა“-ს (ს/ნ: 234230837) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „სარაგბო კლუბი არმაზი“-ს (ს/ნ: 236097898) დამფუძნებლად გაწევრების მიზნით შესაბამისი ღონისძიებები.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N2. 10.01.2017 წ).

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ,ბ“ და „გ,ე“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, მე-100 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების საფუძველზე, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 30 დეკემბრის N03/10738 და 2017 წლის 6 იანვრის N03/97 წერილებით შემოსული დოკუმენტაციის გათვალისწინებით, სთხოვა მხარდაჭერა, რათა მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელს, საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის 2016 წლის 12 ივლისს გაფორმებული გრანტისა და სასესხო ხელშეკრულების ფარგლებში (შემდგომში - დაფინანსების ხელშეკრულებები), საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და სსიპ - საქართველოს მუნიციპალურ განვითარების ფონდს შორის, 2016 წლის 28 სექტემბერს, გაფორმებული ქვესასესხო ხელშეკრულების შესაბამისად საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტისათვის (შემდგომში - პროექტი), მარნეულის მუნიციპალიტეტის სახელით გააფორმოს 521,814.00 (ხუთასოცდაერთი ათას რვაასთოთხმეტი) ლარის ოდენობის (სავარაუდო ღირებულების) თანხის სასესხო ხელშეკრულება.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N1. 10.01.2017 წ).

4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, იმის გათვალისწინებით, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ირაკლი ბურნაძე არ ესწრებოდა საკრებულოს სხომას, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა ნინო დეკანოიძემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა დადგენილების პროექტი, რომლის მიხედვით შედის ცვლილება შიდა აუდიტის სამსახურის დებულებაში და სამსახურის უფროსი ანგარიშს აბარებს მუნიციპალიტეტის გამგებელს მომდევნო წლის იანვრის ბოლომდე.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რომელსაც მხარი არ დაუჭირა საკრებულოს ორმა წევრმა რაფიკ მუსაევმა და ბესიკ გუჯეჯიანმა. ხმათა უმრავლესობით საკითხი იქნა მიღებული (მიღებულია დადგენილება N6. 10.01.2017 წ).

5. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით, იმის გათვალისწინებით, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ირაკლი ბურნაძე არ ესწრებოდა სხომას, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსმა ტარიელ მუსაევმა საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის 2016 წლის 12 სექტემბრის N2822-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვენ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ერეკლე მეორე ქ. N5“-ს მრავალბინიან სახლზე მისაკუთვნებელი მიწის ნაკვეთის ფართისა და საზღვრების (წითელი ხაზები) დადგენას. მიწის ნაკვეთის ფართი - 766 კვ.მ, განაშენიანების ფართი 01/2 - 400 კვ.მ, 02/1 - 23 კვ.მ, 03/1 - 23 კვ.მ, 04/1 - 15 კვ.მ, 05/1 - 14 კვ.მ. საკრებულოს წევრებმა გამოთქვეს აზრი, რომ იმის გათვალისწინებით რომ ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი ახალი აზომვითი ნახაზი არ შეესაბამება სამსახურის მიერ წარმოდგენილ მოხსენებით ბარათს და ნახაზის ახალ ფორმატში შესრულებამ გამოიწვია ფართების არსებითი ცვლილება, მიღებული იქნა გადაწყვეტილება საკითხის განხილვა მოხდეს ამ ხარვეზის აღმოფხვრის შემდეგ, რასაც საკრებულოს წევრები დაეთანხმნენ.

6. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით, იმის გათვალისწინებით, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ირაკლი ბურნაძე არ ესწრებოდა საკრებულოს სხომას, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსმა ტარიელ მუსაევმა საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის 2016 წლის 1 ნოემბრის N3486-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვენ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ვუსალ“-ს, ქალაქ მარნეულში, 20 იანვრის ქუჩა N2-ში მდებარე მრავალბინიან სახლზე მისაკუთვნებელი მიწის ნაკვეთის ფართისა და საზღვრების (წითელი ხაზები) დადგენას. მიწის ნაკვეთის ფართი - 4000 კვ.მ, განაშენიანების ფართი 01/2 – 475 კვ.მ, 02/1 – 310 კვ.მ, 03/1 – 394 კვ.მ, 04/1 – 22 კვ.მ.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N3. 10.01.2017 წ).

7. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით, იმის გათვალისწინებით, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ირაკლი ბურნაძე არ ესწრებოდა საკრებულოს სხომას, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსმა ტარიელ მუსაევმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N3. 10.11.2016 წ).

8. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მერვე საკითხთან დაკავშირებით, იმის გათვალისწინებით, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ირაკლი ბურნაძე არ ესწრებოდა საკრებულოს სხომას, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა ნინო დეკანოიძემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ზედამხედველობის სამსახურის დებულებაში შესატანი ცვლილების პროექტი და ამ ცვლილების განხორციელების შედეგად მისაღები დადგენილების პროექტი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილებები N4 და N5. 10.11.2016 წ).

9. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეცხრე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა ნინო დეკანოიძემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულებაში შესატანი ცვლილების პროექტი

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N2. 10.11.2016 წ).

საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის პირველი სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაზი აბდულაევო